ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 27 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 19

დ. ხარაგაული 27 აგვისტო 2018 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ვარლამ ჭიპაშვილი- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე.

მოწვეულნი:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ვლადიმერ გელაშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

თემურ თაბუკაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ბიუროს სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საკრებულოს წევრი: ზურაბ ხაჩიძე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა:

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N 42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N 42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

გივი თავზარაშვილმა - რომელმაც კითხვით მიმართა მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს თემურ თაბუკაშვილს იმასთან დაკავშირებით, რომ

პირადად მას ჰქონდა თუ არა მონაწილეობა მიღებული იმ დამატებული ინრასტრუქტურული პროექტების შერჩევასა და მთავრობაში გადაგზავნის საქმეში, რომლებიც განსახორციელებელი საბიუჯეტო ცვლილების შედეგად უნდა დაფინანსდეს.

თ. თაბუკაშვილმა - დასმულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ პროექტები რომლებიც უნდა დაფინანსდეს განსახორციელებელი საბიუჯეტო ცვლილების შედეგად, თავის დროზე მოწონებული იქნა საკრებულოს მიერ და მთავრობაში გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის მერთან კონსულტაციისა და მისი თანხმობის შემდეგ.

მალხაზ ფხალაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ სოფლებში თანხები ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად არასწორად ნაწილდება და ამ მხრივ უნდა შეიცვალოს მიდგომები.

ოთარ ლურსმანაშვილმა - რომელმაც განაცხადა, რომ დამატებული პროექტები რომლებიც განსახორციელებელი საბიუჯეტო ცვლილების შედეგად უნდა დაფინანსდეს, საინტერესოა რა კრიტერიუმით შეირჩა, ვინაიდან არის პროექტები, სადაც საჭიროა მეორე ეტაპის დაწყება. ასევე არის სოფლები სადაც საერთოდ არ არის გზების გაკეთება დაწყებული.

დავით კიკნაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ თანხები იხარჯება არათანაბრად, კერძოდ დასახელებული პროექტები, რომლებზედაც უნდა მოხდეს თანხების დახარჯვა საბიუჯეტო ცვლილების შედეგად, არ არის პრიორიტეტული საღანძილის ბაღთან შედარებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აღნიშნული საკითხის 2018 წლის 27 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენწისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე-11

წინააღმდეგი-0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგსში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2018 წლის 27 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**